

**ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის**

**ოქმი N 4**

**ხაშური**

**2019 წლის 2 აპრილი**

**14:00 საათი**

**სხდომის თავმჯდომარე:** -ვაჟა ხარშილაძე-

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრი.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**კომისიის წევრები:** გიორგი ბერაია, ლაშა ლურსმანაშვილი, მიხეილ კაპანაძე, ელზა კიკაძე, ელგუჯა გოგალაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სპეციალისტი რიტა ქურდაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი-მურმან ცენგერაშვილი.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** ალექსანდრე ჩიქოვანი-მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი. (მომხსენებელი საკითხებზე)

**კომისიის სხდომის უფლებამოსილება** განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)**

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (LEXUS RX 300) ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

მომხს.ა.ჩიქოვანი

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მიწის ნაკვეთის) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

მომხს.ა.ჩიქოვანი

3. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის" ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

მომხს.ა.ჩიქოვანი

**კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.**

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხზე მოისმინეს ა.ჩიქოვანის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (LEXUS RX 300) ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.**

**აზრი გამოთქვეს:** მ.კაპანაძემ, ლ. ლურსმანაშვილმა, ვ.ხარშილაძემ.

**ღია კენჭისყრით ( მომხრე-6, წინააღმდეგი-0)**

**კომისიამ გადაწყვიტა:** პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (მიწის ნაკვეთის) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.**

**აზრი გამოთქვეს:** მ.კაპანაძემ, ე.გოგალაძემ, ვ.ხარშილაძემ.

**ღია კენჭისყრით ( მომხრე-6, წინააღმდეგი-0)**

**კომისიამ გადაწყვიტა:** პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.


სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხზე მოისმინეს ინფორმაცია ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისათვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

აზრი გამოთქვეს: მ.კაპანაძემ, ლ.ლურსმანაშვილმა, ვ.ხარშილაძემ.

ღია კენჭისყრით ( მომხრე-6, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარე



ვ.ხარშილაძე